მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-3

დ. მესტია

29.04. 2021წ

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, ვ. ნაკანი, გ. გულბანი, ი. რატიანი, ზ. ჯაფარიძე, ლ. ფალიანი, მ. სუბელიანი, ზ. დევდარიანი, თ. ფალიანი, ლ. კვიციანი, ვ. აფრასიძე, მ. დადვანი, ი. გირგვლიანი, ვ. ჭკადუა, ჯ. ფილფანი, ლ. ქალდანი. ზ. ვიბლიანი, ს.ფირცხელიანი, რ. გვარმიანი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: დ. ნავერიანი, ი. ჯაფარიძე, ი. რატიანი, ლ. პირველი, კ. გუჯეჯიანი, თ. დადეშქელიანი, გ. გელოვანი, ა. რატიანი. ლ. წერედიანი,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსი ს. ჩხვიმიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის და ტურიზმის განვითარების სამსახურის, ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი ლ. მჭედლიანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

სხდომის მდივანი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მზია ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრიდან 22 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიშის შესახებ“

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

2 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული პროექტების მოწონების შესახებ“

/მომხსენებელი: ლ. მჭედლიანი. თანამომხსენებელი: ლ. ფალიანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“

/მომხსენებელი: ვ. ფილფანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

5. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“

/მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

6. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“

/მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

7. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

/მომხსენებელი: შ. ჩხვიმიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი „მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------22

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №6 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანის „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიშის შესახებ“

მომხსენებელმა ისაუბრა ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმაზე და შესრულებაზე, გეგმა შეადგენს--2 893,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა-1,750,2ათასი ლარი, პირველი აპრილიდან აისახება ბიუჯეტში ქონების გადასახადი რომელიც შეადგენს-1,765,1ათას ლარს. ისაუბრა აგრეთვე წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი ორგანოების და ა(ა)იპ-იების გეგმებზე და ათვისებულ თანხებზე. დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია 2020წლიდან გადმოსულ ნაშთების ათვისებაზე და გადანაწილებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა-სასურველია ვეტერანებზე მთავრობის მიერ დადგენილი თანხა გათვალისწინებული თუ იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.
რ. გვარმიანი-კომისიამ განიხილა საკითხი, ხარვეზებია შემოსავლებში, დღგ-ს დაფინანსებაში რაც ჩვენი გვერდის ავლით ხდება.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------22
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიშის შესახებ“

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №7 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“
მომხსენებელმა წარმოადგინა 2020 წლის ბიუჯეტის ანგარიში, გასული წლის გეგმა შეადგენდა 23.490.0ათასს ლარს, შემოსულობები შეადგენდა-26.510.3ათასს ლარს, 2019 წლიდან გადმოსული ნაშთია-5.712.2 ლარი; განიხილა შემოსულობები მუხლობრივად. ერთადერთი სადაც ვერ შესრულდა გეგმა ადგილობრივ მოსაკრებელია, ისაუბრა დარღვევებზე და მიზეზებზე. დაჯარიმდა 70.0 ათ. ლარით საბავშვო ბაღების ობიექტების მშენებლობებზე შეუსრულებელი სამუშაოებისთვის შემსრულებელი,
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანი-- აღსანიშნავია, რომ 2020წლის ბიუჯეტი შესრულებულია 113%-ით და მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეფასდა დადებითად და აქვე აღნიშნა, რომ აუცილებელია პერიოდულად ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლობა შემსრულებელთან, რათა თავიდან ავიცილოთ ხარვეზები.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------22
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №8 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. მჭედლიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული პროექტების მოწონების შესახებ“

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა, აღნიშნა, რომ ყველა თემში ჩატარდა მოკვლევა, ჩატარდა შეხვედრები ხალხთან და მოსახლეობის გადაწყვეტილებით შერჩეული იქნა საპროექტო წინადადებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა--უფრო მეტი კონტროლი დაწესდეს შესრულებულ სამუშაოებზე.

შ. ცინდელიანი-- ხოსრალის თემში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილის სურვილია გზის რეაბილიტაცია და დღემდე მიმდინარეობს უკამყოფილება.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას , ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული პროექტების მოწონების შესახებ“

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №-9 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. ფილფანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“

მომხსენებელმა წარმოადგინა ა(ა)იპ-ების: მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის; მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების და მესტიის კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის 2020წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ა(ა)იპ-ის სამსახურების უფროსებთან ერთად ისაუბრეს გასულ წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ისაუბრეს ხარვეზებზეც და მიმდინარე საქმიანობებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი--ყველა სტანდარტი რაც ევროკავშირისკენაა მიმართული მარტო შენობა და კვება არაა სრულყოფილი, დასაქმებული პერსონალიც უნდა გადამზადდეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-10 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე"

მომხსენებელმა ისაუბრა პროგრამის გაცემის წესზე, რომელიც ეხება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარიო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას, თითოეულ ბავშვზე 100ლარის ოდენობით. აღნიშნა, რომ ჩატარდა კვლევა ოჯახების და გამოვლინდა10-15 ოჯახი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანი---კომისიამ განიხილა პროექტი, მიესალმა ახალ წამოწყებას და აღნიშნა, რომ მთავარია სწორად უნდა იყოს გაცემის წესი დაგეგმილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე"

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №-9 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე"

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-11 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას თვეების მიხედვით გაწერილი მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ჯაფარიძემ-- სთხოვა დეპუტატებს უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ საკრებულოს მუშაობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-12 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე